

01/05/2026



MES 6 26 0000514454

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 17.04.2026

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 15:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე

სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი

საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომი-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. ლევან შავაძე**- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
- 2. ქეთევან აფთარაშვილი**- შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- 3. ვაჟა კელიხაშვილი**- ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
- 4. თეა მჭედლო**- შპს „უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
- 5. ვლადიმერ ადეიშვილი**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდოლოგიათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- 6. ციური დურული**- სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

7. **ქეთევან ნანობაშვილი**- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **დავით კაპანაძე**- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **მზია წიკლაური**- შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
10. **ირინა ლობჯანიძე**- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი;
11. **ბონდო გასვიანი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით;

ნონა ზუმბაძე - ხარისხის აუდიტი;

ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ნინო ჯოჯუა - რექტორის მრჩეველი ხარისხის მიმართულებით;

ნინო ტალიკაძე - ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი;

თეა კბილცეცხლაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი;

მაკა ბულულაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნია თოდუა - ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი.

სსიპ- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:

მურთაზ დევაძე - რექტორი;

ლიკა ქათამაძე - მართვისა და განვითარების სისტემების ცენტრის უფროსი;

გულადი თხილაიშვილი - სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის უფროსი;

რომან მამულაძე - განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;

მანუჩარ ლორია - „ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი“;

სოფიკო დუმბაძე - „ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი“;

ლედი ძნელაძე - „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

მედია ქვეთარაძე - "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

მამუკა ბარამიძე - "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

მარიამ ორაგველიძე - პროგრამების განვითარებისა და ავტორიზაცია-აკრედიტაციის მენეჯერი

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი:

დავით ბოსტოლანაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

ა) მედია ჭელიძე;

ბ) დავით სიხარულიძე.

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარემლევან შავაძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• კი

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს გააცნო შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის 2025 წლის 04 მარტის №424000 და №424004 გადაწყვეტილებებში ცვლილების შეტანის საკითხს.

მეორე შუამდგომლობა ეხებოდა 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმის, 073 არქიტექტურა და მშენებლობის, 078 ინტერდისციპლინურის, 102 ჰიგიენა და პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებების ვიწრო სფეროს სწავლის სფეროების საგანმანათლებლო პროგრამების, რომელთაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2022 წლის 01 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების საკითხს.

საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობები დამატებით განეხილა ზემოღნიშნულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის საკითხები.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. "შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 04 მარტის № 424000 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
2. "შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 04 მარტის № 424004 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
10. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
11. სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
- 12 - 37. 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმის, 073 არქიტექტურა და მშენებლობის, 078 ინტერდისციპლინურის, 102 ჰიგიენა და პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებების ვიწრო სფეროს სწავლის სფეროების საგანმანათლებლო პროგრამების, რომელთაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2022 წლის 01 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: "შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 04 მარტის № 424000 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

მეორე საკითხი: "შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 04 მარტის № 424004 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

საკითხის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, საბჭომ გადაწყვიტა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის შუამდგომლობები განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს საბჭოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია შუამდგომლობებთან დაკავშირებით.

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით:

- მე-16 რეკომენდაცია არ ეხება საბაკალავრო პროგრამას (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას ეხება);
- მე-17 რეკომენდაცია ამოღებულია;
- მე-18 რეკომენდაცია გადატანილია რჩევებში;
- მე-19 რეკომენდაცია გადატანილია რჩევებში;
- მე-20 რეკომენდაცია ამოღებულია.

რჩევების ნაწილში:

მე-17 რჩევა რეკომენდაციებშიცაა (იხ.რეკომენდაცია N20)

"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით:

რჩევების ნაწილში:

- მე-2 და მე-4 რჩევა ერთი და იგივეა.
- მე-5 და 23-ე რჩევა ერთი და იგივეა.
- მე-16 რჩევა არის ასევე რეკომენდაციებშიც.

ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა რომ საბაკალავრო პროგრამის მე-17 რჩევა მე-20 რეკომენდაციის სახით არ არის გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი, რასთან დაკავშირებითაც ქეთევან აფთარაშვილმა დააზუსტა, რომ მე-20 რეკომენდაციის ნაცვლად იგულისხმება 22-ე რეკომენდაცია (რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო ბლოკში გათვალისწინებული იქნას საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი). ცენტრის თანამშრომელმა, ასევე, აღნიშნა რომ სამაგისტრო პროგრამის მე-16 რჩევა (სასურველია, აღწეროთ მიზნები უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად) რეკომენდაციებში სხვა, შემდეგი სახის ფორმულირებითაა წარმოდგენილი: რეკომენდებულია მიზნების ფორმულირების გადახედვა წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებით. რეკომენდებულია ზოგიერთი მიზნის სამაგისტრო დონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ, სტრატეგიული აზროვნებისა და ლიდერული უნარების განვითარებასთან, რაც დამახასიათებელია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებებში შევიდეს ცვლილებები და დაკორექტირდეს შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო და "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით განსაზღვრული რეკომენდაციების ჩამონათვალი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:14

დასრულების დრო: 14:30

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 04 მარტის № 424000 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 17 აპრილის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2025 წლის 4 მარტის №424000 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით რეკომენდაციების ჩამონათვალი განისაზღვროს შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების დეტალური და მკაფიო შეფასების გეგმის შემუშავება.
2. რეკომენდებულია დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკები.
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსების სისტემატური გადახედვის პროცესის დანერგვა.
4. რეკომენდებულია სანდო და ვალიდური სწავლების/შეფასების მეთოდების გამოყენება, რომლებიც შესაბამისობაში იქნება კურსის/პროგრამის შინაარსთან და გაცხადებულ სწავლის შედეგებთან.
5. რეკომენდებულია პროგრამებისა და სილაბუსების გადახედვა გამოყენებული აქტივობებისა და დავალებების ანალიზის კუთხით, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდების/სტრატეგიების დეტალური აღწერა.
6. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში.
7. რეკომენდებულია უსდ-მ შეიმუშაოს და დანერგოს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგია
8. რეკომენდებულია უსდ-მ შეიმუშაოს ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და გადახედოს პროგრამების ბიუჯეტებს.
9. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პროგრამების თვითშეფასების პროცესებში სრულად და ამომწურავად გამოავლინოს გასაუმჯობესებელი მხარეები, ასევე დაგეგმოს აქტივობები და ვადები გასაუმჯობესებელი სფეროებისთვის.
10. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა სრულად დანერგოს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე" პრინციპი ყოველდღიურ საქმიანობაში და ჩაატაროს SWOT ანალიზი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, როგორც ეს უნივერსიტეტის რეგულაციებშია მითითებული.
11. რეკომენდებულია პროგრამული აკრედიტაციის/ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების განხილვა და გათვალისწინება.
12. რეკომენდებულია პროგრამების გარე კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების უზრუნველყოფა როგორც უცხოელი კოლეგების, ასევე უცხოელი/ადგილობრივი დარგის პროფესიონალების მხრიდან.
13. რეკომენდებულია პროგრამების ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების არსებული მექანიზმი.
14. რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულად და ეფექტურად განახორციელოს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგების გამოყენება.

15. რეკომენდებული დაწესებულებამ ჩაატაროს მსგავს უცხოურ პროგრამებთან შედარებითი/საორიენტაციო ანალიზი უნივერსიტეტში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დასანერგად.
16. რეკომენდებულია, სტუდენტებმა შეაფასონ (კითხვარების ან სხვა საშუალებებით) ძირითადი საგანმანათლებლო კურსი / საგანი თითოეული კურსის ბოლოს.
17. რეკომენდებულია სწავლის შედეგებში მეტი აქცენტი გაკეთდეს საერთაშორისო ბიზნესის კონცეფციებსა და სპეციფიკურ კულტურათაშორის კომპეტენციებზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 04 მარტის №424004 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 17 აპრილის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 2025 წლის 4 მარტის №424004 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით რეკომენდაციების ჩამონათვალი განისაზღვროს შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების დეტალური და მკაფიო შეფასების გეგმის შემუშავება.
2. რეკომენდებულია დაკორექტირდეს სწავლის შედეგების რუკები.
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსების სისტემატური გადახედვის პროცესის დანერგვა.
4. რეკომენდებულია სანდო და ვალიდური სწავლების/შეფასების მეთოდების გამოყენება, რომლებიც შესაბამისობაში იქნება კურსის/პროგრამის შინაარსთან და გაცხადებულ სწავლის შედეგებთან.
5. რეკომენდებულია პროგრამებისა და სილაბუსების გადახედვა გამოყენებული აქტივობებისა და დავალებების ანალიზის კუთხით, ასევე სწავლებისა და შეფასების მეთოდების/სტრატეგიების დეტალური აღწერა.
6. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა თვითშეფასების ჯგუფში.
7. რეკომენდებულია უსდ-მ შეიმუშაოს ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და გადახედოს პროგრამების ბიუჯეტებს.
8. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პროგრამების თვითშეფასების პროცესებში სრულად და ამომწურავად გამოავლინოს გასაუმჯობესებელი მხარეები, ასევე დაგეგმოს აქტივობები და ვადები გასაუმჯობესებელი სფეროებისთვის.

9. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა სრულად დანერგოს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე" პრინციპი ყოველდღიურ საქმიანობაში და ჩაატაროს SWOT ანალიზი ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, როგორც ეს უნივერსიტეტის რეგულაციებშია მითითებული.
10. რეკომენდებულია პროგრამული აკრედიტაციის/ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების განხილვა და გათვალისწინება.
11. რეკომენდებულია პროგრამების გარე კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების უზრუნველყოფა როგორც უცხოელი კოლეგების, ასევე უცხოელი/ადგილობრივი დარგის პროფესიონალების მხრიდან.
12. რეკომენდებულია პროგრამების ხარისხის მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების არსებული მექანიზმი.
13. რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულად და ეფექტურად განახორციელოს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი და შეფასების შედეგების გამოყენება.
14. რეკომენდებულია დაწესებულებამ ჩაატაროს მსგავს უცხოურ პროგრამებთან შედარებითი/საორიენტაციო ანალიზი უნივერსიტეტში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დასანერგად.
15. რეკომენდებულია, სტუდენტებმა შეაფასონ (კითხვარების ან სხვა საშუალებებით) ძირითადი საგანმანათლებლო კურსი / საგანი თითოეული კურსის ბოლოს.
16. რეკომენდებულია პროგრამამ უზრუნველყოს, რომ მაგისტრანტებმა შეაფასონ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელობა.
17. რეკომენდებულია სწავლის შედეგების გაზომვადი ფორმით ჩამოყალიბება.
18. რეკომენდებულია შემუშავდეს და განხორციელდეს მკაფიო სამიზნე ნიშნულების სტრატეგია, რომელიც გამყარებული იქნება მტკიცებულებებითა და ანალიზით.
19. რეკომენდებულია პროგრამაზე მიღების შიდა პროცედურების (შიდა გამოცდა, გასაუბრება) შესახებ ინფორმაციის მკაფიოდ ჩამოყალიბება და მინიმალური საგნობრივი ცოდნისა და უნარების დეტალურად განსაზღვრა (მაგ., ბიზნესისა და მენეჯმენტის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, ეკონომიკის და სხვა), რაც აუცილებელია "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად და დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად.
20. რეკომენდებულია გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის დებულება, სამაგისტრო ნაშრომის თემების შერჩევისა და დამტკიცების წესები და მიდგომები, აგრეთვე აკადემიური ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელთა შერჩევა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარები.
21. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა, ხელმძღვანელებთან ერთად, გაზარდოს კვლევითი კომპონენტი სამაგისტრო ნაშრომებში.
22. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა გააძლიერონ მუშაობა სტუდენტებთან, რათა უზრუნველყონ მაღალი ხარისხის ნაშრომების მომზადება.

მესამე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი

საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვასა და დაბეგვრაში

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0411 აღრიცხვა და დაბეგვრა

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 180

სტატუსი: აკრედიტებული

მეოთხე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი" (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი

საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვასა და დაბეგვრაში

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0411 აღრიცხვა და დაბეგვრა

სწავლების ენა: ინგლისური

კრედიტების რაოდენობა: 180

სტატუსი: აკრედიტებული

მეხუთე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი"

საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 180

სტატუსი: აკრედიტებული

მეექვსე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი"

საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 180
სტატუსი: აკრედიტებული

მეშვიდე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი"

საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0414 მარკეტინგი და რეკლამა

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 180

სტატუსი: აკრედიტებული

მერვე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგი"

საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0414 მარკეტინგი და რეკლამა

სწავლების ენა: ინგლისური

კრედიტების რაოდენობა: 180

სტატუსი: აკრედიტებული

მეცხრე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები"

საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 180

სტატუსი: აკრედიტებული

მეათე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები"

საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა

სწავლების ენა: ინგლისური

კრედიტების რაოდენობა: 180

სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ზემო აღნიშნული ანგარიშები შეისწავლა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა, რომ ყველა ანგარიში განეხილათ ერთი მოსმენის ფარგლებში.

მესამე - მეათე საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტის პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტმა მედია ჭელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ყველა პროგრამაზე გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია. საბაკალავრო პროგრამაზე გაიცა 7 რეკომენდაცია, ხოლო სამაგისტროზე - 8 და აქედან უკლებლივ ყველა იყო გათვალისწინებული. ასევე, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მხრიდან იგრძნობა დიდი მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები ყოფილიყო გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გვრიტიშვილმა აღნიშნა რომ რვავე პროგრამა წარმოდგენილი იყო თავის დროზე კლასტერულ აკრედიტაციაზე და შესაბამისად, რეკომენდაციების შინაარსი მსგავსია ყველა პროგრამაზე. დაწესებულების მხრიდან კი ყველაფერი გათვალისწინებულია როგორც რეკომენდაციები, ისე რჩევები.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:34

დასრულების დრო: 14:38

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის

ადმინისტრირება - მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^ბ - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^ბ - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - მარკეტინგის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^ბ - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის

ადმინისტრირება - მარკეტინგის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ "ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

11 საკითხი: სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება

საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

სწავლების ენა: ქართული

კრედიტების რაოდენობა: 180

სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინათ პოზიცია.

ექსპერტმა დავით სიხარულიძემ აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გაცემული იყო სულ რამდენიმე რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა კურსზე სილაბუსებისა და ლიტერატურის განახლებას, რაც რა თქმა უნდა, განახლდა. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა შეფასების სისტემის შესაბამისობაში მოყვანას ბრძანებასთან, რაც გაუმჯობესდა და შესაბამისობაშია. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის მაჩვენებლის გაზრდას, რასთან დაკავშირებითაც უნივერსიტეტმა საკმაოდ ბევრი ღონისძიება განახორციელა და გაზრდილი არის მაჩვენებელიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეფასება იყო ობიექტური და დააფიქსირა თანამშრომლობისთვის მზაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:43

დასრულების დრო: 14:46

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27⁶ - ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2¹¹ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

12 საკითხი: 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმის, 073 არქიტექტურა და მშენებლობის, 078 ინტერდისციპლინურის, 102 ჰიგიენა და პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებების ვიწრო სფეროს სწავლის სფეროების საგანმანათლებლო პროგრამების, რომელთაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2022 წლის 01 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში ცვლილებების საკითხის განხილვა.

